# შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.537)

15 ივნისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# "მე ყველგან ჩავალ; იქაც, სადაც აქამდე არაფერი გაკეთებულა"...



12 ივნისს დედოფლისწყაროს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრობდა. ის თავდაპირველად ფერმერთა მომსახურების ახალ ცენტრს ესტუმრა. მიხეილ სააკაშვილი ადგილზე გაეცნო იმ მომსახურებას, რომელსაც ცენტრი ფერმერებსა და გლეხებს სთავაზობს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა პრეზიდენტს ერთგვარი ანგარიშიც ჩააბარა. მინისტრის, ზაზა გოროზიას განცხადებით, დიზელზე ფასი მალე დაიწევს და გლეხებისთვის ტექნიკა უფრო ხელმისაწვდომი გახდება. როგორც გოროზიამ პრეზიდენტთან საუბარში აღნიშნა, დედოფლისწყაროში წელს შარშანდელთან შედარებით 70 000 ჰექტარით მეტი მიწა მოიხნა.

„ფერმერთა მომსახურების სულ 12 ცენტრი გვაქვს, აქედან 6 არის ასეთი, სადაც მხოლოდ მექანიზაციის ცენტრია, დანარჩენი არის ლაბორატორია ყველა სიკეთით. ამ ყველაფერს ეხმარება ჩალაუბანი, სადაც არის ტექნიკა, შეუკვეთავ და ჩამოვა. გუთნების დიდი ნაწილი უკვე შემოსულია და ნაწილი იწყებს შემოსვლას. კომბაინები საკმარისია. დაახლოებით ერთ კვირაში 25 კომბაინამდე კიდევ შემოვა. ტრაქტორების დეფიციტი ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ წელს, დააახლოებით 350 ცალს კიდევ ვამატებთ, საშემოდგომო სამუშაოებისთვის ბევრად მეტი ტრაქტორი გვექნება, ნელ-ნელა უკვე შემოდის ამერიკული ტექნიკაც. ლეგალიზაციით, დახლოებით 3 500 ტრაქტორი დავარეგისტრირეთ, მთლიანობაში გვაქვს 5 000-მდე ტრაქტორი. წელს შარშანდელზე 25 პროცენტით მეტი მიწა გვექნება მოხნული," - განუცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ პრეზიდენტს.

„სინამდვილეში, 7-8 ათასი ტრაქტორი მაინც უნდა იყოს, მაგრამ 1 000 მაინც კიდევ უნდა, რომ ეს ტრაქტორების დეფიციტი გადაიფაროს მთლიანად," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

გოროზიას თქმით, დიზელზე ფასი მალე დაიწევს და გლეხებისთვის ტექნიკა უფრო ხელმისაწვდომი გახდება. „ტექნიკის გამოყენება ხალხისთვის უფრო ხელმისაწვდომია. შარშანდელთან შედარებით გავაიაფეთ. კი არის ისევ ძვირი, მაგრამ დიზელის ფასი ჩამოდის. შარშან დიზელი რომ გაძვირდა, ჩვენ მაშინ გავაიაფეთ, თქვენ რომ დაგვავალეთ. კიდევ გავაიაფებთ ახლა," - განაცხადა ზაზა გოროზიამ.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი სოფელ ქვემო ქედს ესტუმრა, სადაც წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია. მიხეილ სააკაშვილმა, სიმბოლურად, პირველი მილის შედუღების პროცესში მიიღო მონაწილეობა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა კი, პრეზიდენტს წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის 2010-2015 წლების მოდერნიზაციის პროგრამის შესახებ ინფორმაცია გააცნო.პრეზიდენტი ასევე დაინტერესდა მოსახლეობის პრობლემებით და მათ ბოდიშიც კი მოუხადა იმის გამო, აქამდე რომ ვერ მოახერხა მათ სოფლამდე მისვლა:

(გაგრძელება გვ. 3)

## ხელოვნური ბარიერი თუ...



გვ. 5

## რუსეთი ქართველების დეპორტაციის მეორე ტალღას იწყებს



გვ. 2


## ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge


C M Y K

# მიხეილ სააკაშვილი: არ დავინახო საავადმყოფო, სადაც ექთანი იღებს 75-100 და 150 ლარს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ორდღიანი, სამედიცინო კონფერენცია „მედეა-2012” გახსნა.

ღონისძიებას საქართველოს პირველი ლედი, პარლამენტის წევრები, სამედიცინო სფეროს, სადაზღვევო ინდუსტრიისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე საზღვარგარეთიდან მიწვეული ქართველი ექიმები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე სიტყვით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა.

მისი თქმით, ქართული ოპოზიციის საყვარელი დაცინვის ერთ-ერთი თემა 100 საავადმყოფოს პროექტი იყო.

,,ახლა კი ამ თემაზე ყველას პირი მოკეტილი აქვს. იმიტომ, რომ 100 საავადმყოფო გადაიქცა 150 საავადმყოფოდ და ეს საავადმყოფოები უკვე აშენებულია” – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ჯანდაცვის სისტემაში მთავარ პრობლემად კვლავ მომსახურე პერსონალისა და ხელმისაწვდომობის საკითხი რჩება.

“თუ ჩვენ ავაშენეთ საავადმყოფოები და იქ ისევ მივიღეთ ექიმი, რომელიც უყურებს პაციენტს ხელში, როდის ჩაუდებს ჯიბეში ფულს, ჩვენ შევალთ ისევ კატასტროფულ ჩიხში. ამიტომ, მივმართავ სადაზღვევოებს, რომ შექმნან ისეთი სისტემა, სადაც მსგავსი რამ აბსოლუტურად გამორიცხული იქნება. ღმერთმა არ ქნას, რომ სადმე სამედიცინო პერსონალი ხელფასის გარეშე იყოს დარჩენილი. ექთნები და სხვა უმცროსი სამედიცინო პერსონალი იღებს 75-100 ლარს და იმავე საავადმყოფოში ქირურგი შეიძლება იღებდეს 5000 ლარს. ან საშუალო ექიმი იღებს 1700 ლარს. ან ეს ექიმი როგორ იღებს 1700 ლარს ან როგორ ემუშავება იმ ექთანს, რომელიც იღებს 75 ლარს? ეს არის იდიოტიზმის სფერო და ეს არის ერთხელ და სამუდამოდ დასამთავრებელი. დღეიდან დავიწყოთ მუშაობა, რომ მე არ დავინახო საავადმყოფო, სადაც ექთანი იღებს 75-100 და 150 ლარს. მაშინ ასეთი საავადმყოფო უნდა დავხუროთ. კატეგორიული გაფრთხილება სადაზღვევოებს, სამედიცინო პერსონალს და ჯანდაცვის სამინისტროს”– აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა ბათუმისა და ქედას სამედიცინო ცენტრები დაათვალიერეს.

უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ექიმებმა კი კოლეგებს გამოცდილება და რეკომენდაციები გაუზიარეს.

პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსია.

# რუსეთი ქართველების დეპორტაციის მეორე ტალღას იწყებს



რუსეთი საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის მეორე ტალღას იწყებს. ამის შესახებ ფედერალური საემიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინ რამადანოვსკიმ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, 9 000-მდე ქართველი დეპორტირებული იქნება.

“რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს ცხრა ათასზე მეტი მოქალაქე არალეგალურად იმყოფება. ჩვენ ყველა მათგანს მოვძებნით და მათ მიმართ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს”. - აცხადებს რამადანოვსკი.

მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეები 2006 წელს კანონის სრული დაცვით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად იქნენ გაგზავნილი საქართველოში. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით სარჩელს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო განიხილავს.

# შპს „ჯეოლაივი“ ზეთისხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას გეგმავს

14 ივნისს სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია აგროტურში მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერებს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში შეხვდა. საქობოში 25 ჰექტარზე გაშენებული ზეთისხილის პლანტაცია შპს „ჯეოლაივის“ საკუთრებაა.

სამინისტროს ცნობით, კლიმატური პირობების გათვალისწინებით, კახეთის რეგიონი ზეთისხილის მოსაყვანად ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. მსოფლიო ბაზარზე მზარდი მოთხოვნის მქონე მცენარე პირველ მოსავალს 5 წელიწადში იძლევა. 2014 წლისთვის შპს „ჯეოლაივი“ ზეთისხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასაც გეგმავს. წარმოების მიერ დამზადებული სხვადასხვა დასახელების ქართული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება. სეზონურად ზეთისხილის პლანტაციაში 40-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

სოფელ საქობოში გაშენებული ზეთისხილის პლანტაციის გარდა აგროტურის მონაწილეებმა ლაგოდეხის მარცვლეულის საშრობი, ტიბაანის ხელოვნური განაყოფიერების ცენტრი და ჩალაუბნის მექანიზაციის სერვის ცენტრიც მოინახულეს და ადგილზე გაეცნენ სამინისტროს ხელშეწყობით დანერგილ საწარმოო და ტექნოლოგიურ სიახლეებს.

# ახალ საგამოცდო მოდელზე სტრატეგიული კომისია მუშაობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დღეს განათლების სისტემის განვითარების გეგმაზე მომუშავე საბჭოს წევრებმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი, “8+1“ მოდელი განიხილეს. სხდომას მინისტრი დიმიტრი შაშკინი უძღვებოდა.

სამინისტროს ცნობით, ექსპერტთა ჯგუფი ახალ მოდელზე მუშაობას აგვისტოში დაასრულებს. აგვისტოდან დეკემბრამდე კი საქართველოს სკოლებში აპრობაციები ჩატარდება, რითაც ახლადშექმნილი სისტემა ყველა მიმართულებით შემოწმდება, შემუშავდება ტესტების საგამოცდო ვარიანტები, დადგინდება შეფასების კრიტერიუმები.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტის ინიციატივით 2013 წლიდან საქართველოში ახალი საგამოცდო სისტემა დაინერგება. კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად მოსწავლეებს მხოლოდ რვა საატესტატო და ერთი უნარ-ჩვევების გამოცდების ჩაბარება მოუწევთ. ექსპერტთა ჯგუფი ახალ მოდელზე უკვე მუშაობს. დღეს, ახალ საგამოცდო მოდელზე სპეციალურმა კომისიამ დაიწყო მუშაობა.

მინისტრის განცხადებით, განათლების სისტემაში დაგეგმილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, ყურადსაღებია საბჭოს წევრთა თითოეული კომპეტენტური წინადადება. ასეთ სამუშაო შეხვედრებზე გადაწყვეტილებები ხანგრძლივი მსჯელობის გზით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიიღება და მასში კომისიის ყველა წევრის მოსაზრებაა გათვალისწინებული.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის შემადგენლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს წარმომადგენლები, საქართველოს წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები, საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლები შედიან. კომისია სამუშაო შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს და საზოგადოებას იმ პრიორიტეტებს წარუდგენს, რომელთაც სამინისტრო მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ეტაპობრივად განახორციელებს.

# პროფესიული განათლების მეორე ეტაპი დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების მსურველთათვის 1000 ლარიანი ვაუჩერების გაცემის მეორე ეტაპს იწყებს.

ამჯერად, 1500 მსურველი შეძლებს სასურველ პროფესიას დაეუფლოს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია და პროფესიული განათლების მიღების მსურველს 1000 ლარიანი ვაუჩერი თავად გადასცა.

ვაუჩერული დაფინანსების პროექტი 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ამოქმედდა. მათი გაცემა თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში ერთდროულად დაიწყება.

# სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის



სოფლის მეურნეობის სამინისტრო სტუდენტების სტაჟირების პროგრამას იწყებს. სამინისტროს ინფორმაციით, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული უნარჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალგაზრდა სპეციალისტებს, (უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს აგრონომის კვალიფიკაცია, დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტი) ივლისიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ ობიექტებზე სთავაზობს 2 კვირიანი სტაჟირების ინტენსიურ პროგრამას.

როგორც სამინისტროს პრესცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, სტაჟირების მსურველებს გასულ წელს დედოფლისწყაროში გახსნილი ბაჩუკი გონაშვილის მექანიზაციის ცენტრიც მიიღებს.

სტაჟირების დაწყების წინ ჩატარდება ტესტირება და შერჩეული კანდიდატები გაივლიან გადამზადების კურსს. შერჩევის შემდეგ თითოეულ ჯგუფში 3-5 სტუდენტი გადანაწილდება. პროგრამაში შედის სხვადასხვა რაიონში გახსნილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ობიექტები. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემთხვევაში თითოეული სტუდენტი მიიღებს შესაბამის (სტაჟირების) სერტიფიკატს.

სტაჟირების პროგრამის გავლის მსურველებს აპლიკაციის ფორმა შეუძლიათ იხილონ სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. შევსებული აპლიკაციების მიიღება წარმოებს მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზირი №6. ტელ: +(99532) 237 80 14; ასევე შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით სარგებლობა: მისამართზე: kadrebi@moa.gov.ge

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 31 აგვისტო. სტაჟირების მსურველ ახალგაზრდების რიცხვი შეზღუდული არ არის.

ილია მარტყოფლიშვილი

# სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 20 წლის ბიჭი დაიღუპა

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ თანამშრომელს, 20 წლის შაქრო ჯაჭვაძეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დენმა დაარტყა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

ჯაჭვაძე ინდივიდუალური გამრიცხველიანების ჯგუფში მუშაობდა.

„პაციენტს გულ — ფილტვის რეანიმაცია უტარდებოდა, თუმცა გულის მუშაობის აღდგენა ვერ მოხერხდა. 45 წუთის შემდეგ კი პაციენტის ბიოლოგიური სიკვდილი დაფიქსირდა. პაციენტი შემთხვევის ადგილზევე იმყოფებოდა ასისტოლიის მდგომარეობაში“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის სამედიცინო ცენტრის ექიმმა გიორგი ბელიაშვილმა.

„რამდენიმე დღეა, რაც კარდენახში გამრიცხველიანების სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც წესი, არ არსებობს, რომ გამრიცხველიანების დროს ქსელში ძაბვა გადიოდეს. ძაბვა ყოველთვის ითიშება და ტერიტორიაზე გამრიცხველიანების ჯგუფი მერე შედის. რატომ მოხდა ეს ტრაგედია, ამ ეტაპზე ამის თქმა რთულია. უბედური შემთხვევის მიზეზებს სპეციალური კომისია დაადგენს “, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ჟანა დიდებაშვილმა.

შაქრო ჯაჭვაძე გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მკვიდრი იყო. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. საქმეს გურჯაანის პოლიცია იძიებს.

შეგახსენებთ, რომ ასეთივე შემთხვევა 2011 წლის 20 თებერვალს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანშიც მოხდა. თოვლისგან გაწყვეტილი ელექტროგადამცემი ხაზების გადაბმის დროს, მოულოდნელად ელექტროენერგია ჩაირთო, რამაც 2 ადამიანი იმსხვერპლა. 40 წლის ნიკოლოზ არევაძე და 29 წლის ავთანდილ ყოჩიაშვილი ადგილზე დაიღუპნენ.

# "მე ყველგან ჩავალ; იქაც, სადაც აქამდე არაფერი გაკეთებულა"...

(პირველი გვერდიდან)

„თქვენი სოფელი, ვიდრე სხვა სოფელი საქართველოში, ყველაზე უფრო მიტოვებული იყო. ჩემი ფუნქცია მარტო ის კი არ არის, ჩავიდე იქ, სადაც რაღაც გაკეთდა, არამედ ის, რომ სწორედ იქ ჩავიდე, სადაც არაფერი გაკეთებულა“.

ქვეყნის პირველი პირი ადგილზე მოსახლეობასაც გაესაუბრა და პირადად მოისმინა ის სოციალური თუ პირადი პრობლემები, რომელიც ადგილობრივებს აქვთ გადასაჭრელი. მათთან საუბრისას პრეზიდენტმა ყურადღება ახალი პროექტის მნიშვნელობაზეც გაამახვილა.

„მალე აქ ყოველდღიურად, 10-საათიანი გრაფიკით იქნება წყალი. აქამდე ხალხს წყალი ქვედა სოფლებიდან მოქონდა. წყალი ცივილიზაციის მთავარი ნიშანია - თუ წყალი არ არის, ყველაფერს აზრი ეკარგება - უკან მოგვრჩება ბუნებრივი გაზიც, ტრაქტორიც და საავადმყოფოც. არც კომუნისტების დროს და არც შემდეგ, ეს არ აინტერსებდათ და ამ სოფელში ხალხი სრულიად მიტოვებული იყო. ჩვენ უნდა მივხედოთ იმ ადგილებს, რომლებიც მიტოვებულია“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა სოფლის მიგრაციის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, მის მიზეზებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქედში წყლისა და გზის პრობლემის მოგვარება სოფლის დაცლის პროცესს შეაჩერებს.

—„წლების განმავლობაში სოფელი იცლებოდა იმიტომ, რომ არ იყო გზა და წყალი. ჩვენ წელს ვაკეთებთ წყალს, რადგან ჩვენი ამოცანაა, რომ არცერთი ქალაქი არ დარჩეს, სადაც არ იქნება 24—საათიანი წყალმომარაგება და არცერთი სოფელი არ დარჩეს, სადაც არ იქნება წყალი რაიმე სახით მაინც.წელს ჩვენ ვაკეთებთ წყალს, დავიწყებთ გზის მშენებლობასაც,რომელსაც

**„წყალი ცივილიზაციის მთავარი ნიშანია - თუ წყალი არ არის, ყველაფერს აზრი ეკარგება“**

მომავალ წელს დავასრულებთ და რომელიც დაგაკავშირებთ მთელ საქართველოსთან და, განცდა იმისა, რომ ქვეყნის გადასაკარგავშია ეს სოფელი, უნდა გაქრეს. ჩვენი მიზანია, აქ ხალხი კომფორტულად და ქალაქთან მიახლოებულ პირობებში ცხოვრობდეს. აქ ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს. ამიტომ, მოდით, რაც ამ წლებში პრობლემები დაგროვდა , ახლა ყველამ ერთად გადავწყვიტოთ“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„მე ძალიან განვიცდი, რომ აქამდე ეს სოფელი იყო შედარებით მიტოვებული“—აღნიშნა პრეზიდენტმა და ადგილობრივ მოსახლეობას მათი პრობლემების პირად კონტროლზე აყვანას დაპირდა.

პროექტი, რომლის ღირებულება 480 ათასი ლარია, ორი ახალი ჭაბურღილის, ასევე წყალმომარაგების მაგისტრალური და შიდა ქსელების მოწყობას და თანამედროვე სატუმბო სადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ორთვენახევარში 3 ათასამდე ადგილობრივი მოსახლე წყალს ყოველდღიურად, 12-საათიანი გრაფიკით მიიღებს. მშენებლობაზე 60-მდე ადგილობრივი მცხოვრები დასაქმდება.

რაც შეეხება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის 2010-2015 წლების მოდერნიზაციის პროგრამას, 2010-12 წლებში 65 პროექტი განხორციელდა, რომელთა საერთო ღირებულება 200 მილიონი ლარია და საქართველოს მასშტაბით 15 ათასამდე ადამიანი დასაქმდა. 2013-2015 წლებში კი, დაგეგმილია 70 პროექტის განხორციელება, რისთვისაც 300 მილიონი ლარი დაიხარჯება და ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით, 25 ათასი ადამიანი დასაქმდება.

ინგა შიოლაშვილი





# გურჯაანში იუსტიციის სახლი გაიხსნა

საქართველოს პრეზიდენტმა გურჯაანში 12 ივნისს იუსტიციის სახლი გახსნა და რეგიონის მცხოვრებლებს ერთ სივრცეში გაერთიანებული გამარტივებული სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა მიულოცა. მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად, იუსტიციის სამინისტროს ბრენდი - იუსტიციის სახლები დაასახელა. ქვეყნის პირველი პირი იქვე მყოფ სტუდენტებსაც გაესაუბრა და ყურადღება სტუდენტთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაზე გაამახვილა. საქართველოს პრეზიდენტმა მათ ახალი სტუდენტური ბარათებიც პირადად გადასცა.

„მინდა ბიზნესის წარმომადგენლებს მივმართო - რაც მეტ ფასდაკლებას მივცემთ სტუდენტებს, მით უფრო მეტი გვექნება ბრუნვა, რადგან სტუდენტები ენთუზიასტები არიან და პატარა ფასდაკლებით უფრო მეტის მიღებას შევძლებთ. ახლა რკინიგზით სარგებლობას ნახევარ ფასად შეძლებენ, კინოთეატრებში 10-ლარიანი ფასდაკლება ექნებათ, სუპერმარკეტებში, მედიათეკებსა და სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურებაზეც შეღავათებს ვაწესებთ, მაგრამ მსურს, რომ სტუდენტურ ქარდს ყველა ბიზნესი დიდი სერიოზულობით მოეკიდოს“, -



აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის სახლების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და ყურადღება გაეროს ჯილდოსა და ჰილარი კლინტონის შეფასებაზეც გაამაცვილა.

„ყველაზე ინოვაციური პროექტისთვის ჩვენს იუსტიციის სახლებს გაერომ მსოფლიო მაშტაბის პრემია მიანიჭა. ალბათ, ყველამ ნახეთ ისიც, თუ როგორი აღფრთოვანებული წავიდა ბათუმიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი იუსტიცის სახლის დათვალიერების შემდეგ. ეს არის ყველაზე უფრო შორსწასული ხალხის მომსახურების იდეალი მსოფლიოს მაშტაბით და ამ მხრივ, ჩვენ მართლაც, ინოვაცია შევქმენით, რათა ხალხისთვის ცხოვრება გაგვემარტივებინა. ეს შენობა ქართველი არქიტექტორის დაპროექტებულია, ბევრიც უცხოელი სპეციალისტების შექმნილია. თუ დააკვირდებით, რადიკალების პირველი სამიზნეა შუშის ხიდი თბილისში, მეორე არის პარლამენტი და მესამე - იუსტიციის სახლი. თუმცა მათ იმედგასაცრუებლად, ჩვენ გავაგრძელებთ შენებას და ყოველივე ამის კეთებას“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის სამინისტროს ახალი პროექტის - ლიდერთა სახლის მუშაობის პრინციპითაც დაინტერესდა და ინფორმაცია იუსტიციის მინისტრის მოდგილისგან გიორგი ვაშაძისგან მოისმინა. სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებისა და სამოქალაქო აქტივობის ზრდისთვის, ახალგაზრდა ლიდერები მოსწავლეებს იუსტიციის სახლის სივრცეში საინტერესო და მრავლფეროვან აქტივობებს შესთავაზებენ.

# „დღეს სულ სხვაგვარად დაგვყურებს ზეცა"

მორიგი კონცერტი გამართა სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლამ. მეოთხე კლასის მოსწავლეებმა საზეიმო ღონისძიებაზე საპატიო სტუმრებად დამეგობრებული ბავშვები, სოფელ მირზაანის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები მოიწვიეს. ამ დღეს ისინი დედაენას და პედაგოგს, დაწყებითი კლასის მასწავლებელს, ბაბული უზუნაშვილს ემშვიდობებოდნენ. ალბათ არ არსებობს დედაენაზე უფრო დედაწიგნი ქართველებისთვის, იაკობ გოგებაშვილის უტკბილესი და სამყაროს შესწავლის ერთად- ერთი დასაწყისი თითოეული წიგნიერისთვის. სწორედ ამიტომ ხდება, რომ გოგებაშვილის დედაენას არაერთხელ დაუმსახურებია პატარა ქართველების ხოტბა. ასე მოხდა ამ დღესაც. დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა ელენე ნატროშვილმა, მარიამ გავაშელიშვილმა, მარი და მარიამ ნასრაშვილებმა, ნიკა ქადაგიძემ, ლუკა ბოლოთაშვილმა და ანა ბენაშვილმა საათნახევრიანი კონცერტით მოგვწყვიტეს ყოველდღიურობას.

,,-ეს სევდანარევი სიხარულის ზეიმია, დავამთავრეთ დაწყებითი სწავლის პირველი ეტაპი და ვეთხოვებით ჩვენი სასკოლო ცხოვრების პირველ მეგზურს, ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, რომელმაც გვაზიარა ტკბილ ქართულ ენას, გაგვიღო ცოდნის ჯადოსნური სამყაროს კარი, სამშობლოსა და შემოქმედებითი შრომის სიყვარული ჩაგვინერგა."-ამბობს მარიამ სულაშვილი.

-,,წინ ვიხედებით და საამური გრძნობა გვეუფლება, უკან მოვიხედავთ და უზომო სინანულით ვივსებით, რადგან უკან რჩება ჩვენი ბავშვობისა და მოწაფეობის ოთხი უტკბილესი წელი,"- გვიყვება ანა ბენაშვილი.

-,,ჩვენ, ჩვენი ბავშვობის ერთი პერიოდი გავიარეთ. შევიძინეთ ცოდნა, ამხანაგები, მეგობრები, დღეს ცოტა ხნით ვეთხოვებით სკოლას და სექტემბრიდან კვლავ შევუდგებით სწავლას. ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ახალ ბავშვებს შემოიკრებს ირგვლივ. ისევ



ასწავლის აი იას, ისევ მოუყვება საინტერესოს. ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, ამ საზეიმო დღეს პირობას ვდებთ, რომ თქვენი გაწეული შრომა ჩვენს მიმართ არ იქნება დაკარგული. იგი აღმოცენდება ჩვენში, გაიფურჩქნება და მოისხამს ნაყოფს."-ამბობს ნიკა ქადაგიძე.

გაოცებული დავრჩი მოსწავლეების მომზადებით, ცხადია, ეს მათთვის პირველი საჯარო გამოსვლა გახლდათ, დიდი იყო მღელვარება, ღელავდა თავად ბაბული მასწავლებელიც. მოზეიმე მოსწავლეებმა არაერთხელ გამოიცვალეს სამოსი, თავიდან გოგონები თეთრ საზეიმო კაბებში, ხოლო ბიჭები ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი, შემდეგ ჯერ ხევსურულის,მერე კი აჭარულის ფორმები გადაიცვეს, ბოლოს კი კვლავ საბანკეტო ლამაზი სამოსით წარმოგვიდგნენ. ყველაფერი კი, პატარებისგან საოცარ შრომას მოითხოვდა. ელენე ნატროშვილმა და ლუკა ბოლოთაშვილმა შეასრულეს ცეკვა ,,ქართული", შესრულდა ცეკვები- ,,აჭარული," ,,მთიულური" და ,,მოხევური."საკმაოდ დიდი სამუშაო გასწიეს მოსწავლეების კარგად წარმოჩენისთვის მუსიკის პედაგოგმა ციკო ჯამასპიშვილმა და ხელოვნების პედაგოგმა მზია ქორეულაშვილმა.

დასასრულს მოსწავლეებს დაემშვიდობა თავად მათი პედაგოგი ბაბული უზუნაშვილი: -,,თქვენ ჩემი ბუდიდან კარგად დაფრთიანებულები მიდიხართ და, მე ღრმად მწამს, რომ არ შემარცხვენთ, მადლობელი ვარ თქვენი, რომ დღევანდელი დღე ასე ლამაზად ჩაატარეთ. მე გისურვებთ, რომ ცხოვრებაში უამრავი ასეთი და ამაზე ბევრად უკეთესი დღე გქონოდეთ. მომენატრებით, მაგრამ ცხოვრების კანონზომიერება ასეთია, თქვენ სხვა საფეხურზე უნდა განაგრძოთ სწავლა, ჩემგან უკვე იცით, მაგრამ კვლავ შეგახსენებთ და არ დაგავიწყდეთ, რომ, ვინც თავის დროზე გარჯასა და შრომას არ დაიშურებს, ის კარგ მომავალსაც მოიმკის. არ დაგავიწყდეთ მამია გურიელის ლექსის სტროფები, მთავარია დარჩეთ ადამიანებად, მთავარი ის არის, რანი იქნებით, როგორ იშრომებთ და როგორ იტყვით თქვენს სათქმელს, დაგილოცავთ სავალ გზებს"-ასე დაემშვიდობა ქალბატონი ბაბული თავის მოსწავლეებს და ცრემლმორეულმა გადაკოცნა კიდევ ერთხელ ყველა მათგანი.

მოსწავლეებს გზა დაულოცა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ახლადდანიშნულმა დირექტორმა ალექსანდრე ნატროშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მშობლებს, მოსწავლეებს, პედაგოგებს და ყველა მათგანს თანამშრომლობით ერთობლივი წარმატებების მიღწევისკენ მოუწოდა.

ლალი მეხრიშვილი

# მაგრამ არასდროს დაგვავიწყდება!



მიილია კიდევ ერთი სასწავლო წელი. ყველა სკოლამ თავისი ნაყოფი მოიმკო. დამთავრდა საატესტატო გამოცდები, მეთორმეტე კლასელები ეროვნული გამოცდების მოლოდინში არიან. ის სიახლე კი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გააჟღერა, საატესტატო გამოცდების მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის თაობაზე, სამომავლოდაა გათვალისწინებული.

ოთხი მეთორმეტეკლასელი ჰყავდა წელს დედოფლისწყაროს კერძო სკოლა „ბენაურს". ოთხივემ მაღალი ქულებით დაამთავრა. ჩვენ არ გვინდა მათ რიცხვს გამოვაკლოთ მარიამ ბენაშვილი, რომელიც მხოლოდ მეთორმეტე კლასის მეორე სემესტრიდან გადავიდა თბილისში და არც იქ შეურცხვენია თავი. მან ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და სტუდენტეობისთვის ემზადება. მარიამი ამ სკოლის გაზრდილია. ის სკოლის დაარსებიდან აქ სწავლობდა და საუკეთესო მოსწავლედაც ითვლებოდა.

სულ ახლახანს ამ სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა II სასკოლო პირად-გუნდურ ოლიმპიადაში, რომელიც თითქმის ყველა საგანს მოიცავდა, რაც დღეს სკოლებში ისწავლება. V კლასის მოსწავლე გიორგი ბენაშვილის ნამუშევარმა ქართულ ენაში დიპლომი დაიმსახურა. მან დაწერა თემა: ,,წერილი პატრიარქს," სადაც ერთიან საქართველოზე ოცნებობდა და უწმინდესსა და უნეტარესს სთხოვდა, ილოცოს მისი ქვეყნის გამთლიანებისათვის. უფალმა უსმინოს პატრიარქსაც და პატარა გიორგისაც.

14 ივნისს კი საზეიმოდ მორთულ სააქტო დარბაზში მეოთხეკლასელები თავიანთ საყვარელ ნანა მასწავლებელს ემშვიდობებოდნენ. ნანა ზურაშვილმა, როგორც პედაგოგმა, ფეხი ამ სკოლაში აიდგა და ეს მისთვის რიგით მეორე გამოშვება იყო. ამ ხნის მანძილზე მან ბავშვების სიყვარული, ადმინისტრაციის და კოლეგების აღიარება და მშობლების ნდობა მოიპოვა.ექვსი საუკეთესო მოსწავლე იდგა ჩვენს წინაშე და ზეპირად ისე მეტყველებდნენ, ისე მიჰყავდათ არც თუ პატარა პროგრამა, თვალი არ დაუხამხამებიათ, ერთხელ არ წაბორძიკებულან, ერთი ბგერა არ შეშლიათ. აშკარა იყო, ბავშვები ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე გამოწრთობილ–გამობრძმედილები რომ არიან. პროგრამა, რომელიც მეოთხე კლასელებმა წარმოადგინეს, მრავალფეროვანი იყო. სწავლის როლი, ცოდნის აუცილებლობა, მეგობრობის, სიყვარულის და ერთობის ძალა იგრძნობოდა მათ მიერ წაკითხულ ლექსებსა თუ მონტაჟებში, მაგრამ ყველაზე მეტად პატრიტიზმის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა დომინირებდა.

,,ჩემო ნაწეწ_ნაგლეჯო, ნაწამებო მიწავ,
მინდა ისევ ძლიერი, ისევ ლაღი გნახო,
რომ აწმყო და მერმისი გვქონდეს ქართველთ ფიცად,
მსურს ბედნიერ წარსულს სჯობდეს შენი ხვალე,
თავისუფალ კერად რომ გიხილო მალე,
არა, მგლის ლეკვები კვლავ ბორგავენ ალგეთს
და მუ ლეკვთა ხმა კი მდუმარებას ანგრევს,
დღევანდელი დათო იდავითებს, ვიცი,
ითამარებს თამარ, გვარზე რომ ხტის კვიცი,_
მე ეს მანუგეშებს, მე ეს მასულდგმულებს,
და ვპირდები ამას წინაპართა სულებს!

***

სამშობლოვ ჩემო, დედაო საქართველოვ,
მიიღე ჩვენი სახით ნათელი მომავალი! - ამას ჰპირდებიან ნინი ათანელიშვილი, თორნიკე ყოჩიაშვილი, ლუკა ბენაშვილი, მარიამ მეხრიშვილი, მარი ნატროშვილი და ნიკოლოზ კრავჩენკო საფიცარ სამშობლოს და გვჯერა, რომ ასეც იქნება.

ცრემლჩამდგარი თვალებით დაემშვიდობნენ მეოთხეკლასელები საყვარელ ნანა მასწავლებელს და პირობა დადეს, რომ არ შეარცხვენენ და არც დაივიწყებენ მის ამაგს:

ჩვენ, ალბათ, კიდევ ბევრ კლასს გავივლით,
ბევრი აღმზრდელის ხელში მოვხვდებით,
ბევრს შევიყვარებთ, ბევრს შევითვისებთ,
ბევრს შევეჩვევით, როგორც მშობელი,
მაგრამ არასდროს დგვავიწყდება,
ჩვენი პირველი მასწავლებელი!

არც ნანა მასწავლებელს აკლდა ემოციები - მინდა გითხრათ, რომ უზომოდ მიყვარხართ, შეგეჩვიეთ და შეგეთვისეთ, თითოეული თქვენგანი ჩემთვის ის სხივი და ათინათია, რომელიც განშორების შემდეგაც გამინათებს სულს. დაე, მუდამ მეამაყოს თქვენი ღირსეული ადამიანობით და ბრწყინვალე ქართველობით! არასოდეს გეღალატოთ თქვენი მძიმე ულლისათვის, თქვენი სიყვარულისთვის, ათი წმინდა მცნებისათვის, ადამიანობისათვის და ამ დიდი სალოცავის — ჩვენი საქართველოსათვის! – დალოცა მან თავისი გამოზრდილები და მადლობა გადაუხადა მშობლებს მხარში დგომისათვის და ყურადღებისათვის.

ოთხი წლის ნაშრომი შეაჯამა და ბავშვებს ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა სკოლის დირექტორმა ცაცა ბენაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ნანა ზურაშვილს და დაწყებითი კლასების კათედრის გამგეს მაგული გონაშვილს იმ დიდი პასუხიმგებლობისათვის, რომელიც მათ თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოავლინეს, იმ ამაგისათვის, რაც ამ ბავშვების აღზრდა-განათლებას მოახმარეს.

თავისი აზრი გაგვიზიარეს მშობლებმა.

ქეთი პოლიკაშვილი – ერთი წელია, რაც ჩემი გოგონები ამ სკოლაში დადიან. ძალიან კმაყოფილი ვარ. დაუფარავად მინდა ვთქვა, რომ დიდი ცვლილება აქვთ ბავშვებს. როცა კლასში რამდენიმე ბავშვი ზის, თავისთავად სწავლის ხარისხიც მაღალია, მთავარია, ბავშვმა გაუძლოს ყოველდღიური გამოკითხვის რეჟიმს. მადლობა ნანა მასწავლებელს, რომელმაც ყველა პირობა შეუქმნა ჩემს შვილს, რომ ადვილად შეგუებოდა ახალ გარემოს.



ლია პოპიაშვილი – ჩემი ორი ვაჟი დადის ამ სკოლაში - მეოთხე და მეათე კლასებში. როცა მათი აქ მოყვანა გადავწყვიტე,ზოგიერთმა ირონიით მითხრა, რა იშოვე ამდენი, ფასიან სკოლაში რომ მიგყავს ბავშვებიო?! მათ გასაგონად, და არა მარტო მათთვის, მინდა ვთქვა, რომ მირჩევნია აქ გადავიხადო ის მცირე თანხა, ვიდრე მერე რეპეტიტორებს ვაძლიო უფრო მეტი. მე ბავშვების ნიშნებსაც კი არ ვკითხულობ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს შვილებს საკმარისი ცოდნა აქვთ, რაც შეეხება ნანა მასწავლებელს, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ის საუკეთესო პედაგოგი და კარგი ადამიანია.

მაშა კრავჩენკო – ერთი წელია, ჩემი ვაჟი ამ სკოლაში მოვიყვანე. ძალიან მეშინოდა, რადგან ბავშვმა ქართული თითქმის არ იცოდა, ჩვენც ვერ ვეხმარებოდით, მაგრამ მან ნანა მასწავლებლის დახმარებით და დიდი შრომით ეს პრობლემა დაძლია. ახლა ის ისე მეტყველებს, როგორც დანარჩენი ბავშვები და მე ეს ძალიან მიხარია, რადგან ყველამ უნდა იცოდეს ის ენა, რომელ მიწაზეც ცხოვრობს. გადაწყვეტილი მაქვს, მეორე ბავშვიც აქ მოვიყვანო.

გზა დავულოცოთ მეოთხეკლასელებს და მომავალი წარმატება ვუსურვოთ. გვჯერა, არასდროს შეარცხვენენ ნანა მასწავლებელს.

ნაირა გორაშვილი

# ხელოვნური ბარიერი თუ...

## თბილისიდან გადამისამართება სამედიცინო ბრიგადის ოპერატიულობას აფერხებს(?!)

უკვე მერამდენე თვეა, რაიონებში გადაუდებელი სასწრაფო - სამედიცინო სამსახურში დარეკვის მსურველები მოულოდნელად დედაქალაქში, ამავე სამსახურის ცენტრალურ სააპარატოში ხვდებიან. თუმცა, ცვლილება სატელეფონო ნომერ 03-ის 112-ით ჩანაცვლებას სულაც არ უკავშირდება.

მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ადამიანს, რომელსაც სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება სურდა და რაიონულ ფილიალს დღემდე უპრობლემოდ უკავშირდებოდა, (მორიგე ჯგუფიც გამოძახებაზეც პირდაპირ გადიოდა), ამიერიდან მედიკოსების გადაუდებელ მომსახურებას მხოლოდ თბილისის ჩარევის შემდეგ მიიღებს. აბონენტს ოპერატორი თბილისიდან მოუსმენს და მისსავე რაიონში მოქმედ ფილიალს გამოძახებაზე მითითებას მისცემს.

ამ დრომდე დედოფლისწყაროს რაიონის მაცხოვრებლები სასწრაფოს გამოძახებას შიდა საქალაქო ქსელის ნომერზე 22-50-03 დარეკვითაც ახერხებდნენ, რაც ბევრს გაცილებით მოსახერხებლად მიაჩნდა. მით უფრო, რომ სატელეფონო ზარს მათთვის ნაცნობი ექიმები პასუხობდნენ, რომელთაც პაციენტთა უმრავლესობის პრობლემა, ხშირ შემთხვევაში, მანამდეც შესწავლილი ჰქონდათ. ამგვარი ურთიერთობა კი ორივე მხარისთვის მისაღები და ბევრად შედეგიანი იყო. ამჯერად, მოქალაქეების ნაწილი ცვლილებაში ხელოვნურ ბარიერებს ხედავს და დაბნეულობა შეიმჩნევა.

„აქამდე ადგილობრივი სამსახური ყველა გამოძახებაზე გადიოდა. წარმოიდგინეთ, ამ ცვლილების შემდეგ გამოდის, რომ ჩვენს რაიონში რა გამოძახებაც დაფიქსირდება, ამის შესახებ დედოფლისწყაროს სამსახურს თბილისიდან უნდა შეატყობინონ. ანუ, ჩვენს შორის შუამავალი იქნება. ინფორმაციამ და მისამართებმა რამდენიმე ადრესატი უნდა მოიაროს, ამასობაში გადაუდებელი დახმარებისთვის განსაზღვრული ყველაზე ძვირფასი დრო თვალსა და ხელს შუა გადის, ეს კი, შესაძლებელია, ხშირად სავალალო აღმოჩნდეს პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისით. თბილისელი ოპერატორები ალბათ ზარებსაც გაცხრილავენ და ბრიგადას უმნიშვნელო გამოძახებებზე აღარ გაუშვებენ. აქამდე კი ის კატეგორია, ვისაც სასწრაფო დახმარების გამოძახება ხშირად უხდება, პაციენტებიც ვცნობდით მორიგე ექიმებს და ისინიც. ანუ, მათთან პირადად დაკავშირებით უფრო მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა იყო. ახლა, სამწუხაროდ, ეს კავშირი დაირღვა... ფაქტია, რომ ამ ნაბიჯით ადგილობრივ ექიმებთან უშუალო კომუნიკაციის საშუალება მოგვისპეს. ახლა დიდი ალბათობაა, რომ თბილისმა წვრილმან გამოძახებებზე უარი თქვას და ადგილობრივ სამსახურს ინფორმაცია არც გადასცეს. მათთან პირადად დალაპარაკებით შესაძლებელი იყო პრობლემა სატელეფონო საუბრითაც მოგვარებულიყო და ზოგჯერ ბრიგადის სახლში გამოძახებაც აღარ მომხდარიყო. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით ნამდვილად მოსახერხებელი და მისაღები იყო, რომ მოსახლეობას ადგილობრივ სამსახურთან დაკავშირების საშუალება ჰქონოდა. ოჯახების ნაწილი მედიკოსთა ბრიგადას ბინაზე კვირაში რამდენჯერმე იძახებს და ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს მათთვის,“ - ამგვარი პოზიცია აქვს დედოფლისწყაროელების დიდ ნაწილს.




იმის გათვალისწინებით, რომ სიახლემ მოსახლეობაში გარკვეულწილად დაბნეულობა გამოიწვია, გაზეთი „შირაქი“ ვითარების გარკვევის მიზნით სასწრაფო დახმარების სამსახურის ოპერატორს დაუკავშირდა ნომერზე 112.

**- გამარჯობა, დედოფლისწყაროდან გირეკავთ... სასწრაფო დახმარების გამოძახება გვინდა და თბილისში მოვხვდი, თუ ადგილობრივ სამსახურში?**

-თბილისში მოხვდით ბატონო, და ამიერიდან აქ უნდა დარეკოთ ხოლმე. უკვე ახალი წესები მოქმედებს. ანუ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აკრიფოთ 112 და ჩვენ შეგვატყობინოთ. რაიონულ სამსახურს სხვანაირად ვერ დაუკავშირდებით... იგივე ცვლილებაა სახანძრო-სამაშველო სამსახურში დაკავშირების მსურველებისთვისაც. შეტყობინებას თბილისი მიიღებს და შესაბამის რაიონს თავადვე გადასცემს.

**- უკაცრავად, მაგრამ ახალი პროცედურის მიხედვით ოპერატიულობა რამდენად დაცულია, ძველი წესებისგან განსხვავებით, ამჯერად ბრიგადის მისამართზე გასვლა დროში ხომ არ გაიწელება?**

-არა, ასე არ არის. შეტყობინების მიღებისა და მისამართის დაფიქსირებისთანავე ჩვენ შესაბამის რაიონულ სამსახურს ვუგზავნით ინფორმაციას და მორიგე ექიმთა ჯგუფი მისამართზე ოპერატიულად გადის. შეფერხებები ნამდვილად არ გვაქვს.

**- ამ ცვლილების აუცილებლობა რამ გამოიწვია?**

- ზოგადად, ყველა რაიონიდან გამოძახებების ცენტრალიზაცია მოხდა. ნამდვილად ვერ გეტყვით ვისი გადაწყვეტილებით, ან რატომ განხორციელდა ეს ცვლილება, მაგრამ ამ ეტაპზე ასეა. ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ახლო მომავალში 112-დან სატელეფონო ნომრის 113-ზე გადასვლა იგეგმება და ამის შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას დამატებით მივაწვდით.

დედოფლისწყაროს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური ახლახან ებრაული კომპანია „ადითის“ დაქვემდებარებაში გადავიდა. რამდენიმე თვის წინ შეიცვალა მისი ადგილობრივი ხელმძღვანელიც. „ადითი“ დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფოს მშენებლობას გეგმავს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის ახლადდანიშნული უფროსი ნუკრი ბალაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სამსახურის ადგილობრივი სატელეფონო ხაზის დაზიანების გამო გაითიშა და მოქალაქეები თბილისში ამ მიზეზით ხვდებიან. მისი თქმით, შესაძლოა, ადგილობრივ სამსახურთან პირდაპირ დაკავშირების შესაძლებლობა ისევ გაჩნდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

# რა ქნან უშვილოებმა!?

ქართველი ერის დემოგრაფიული მონაცემები რომ სავალალოა, ამაზე არავინ დაობს. არც ის არის დაფარული, რომ სტატისტიკური მონაცემებით, სიკვდილიანობა გაცილებით სჭარბობს შობადობას. ამავდროულად, თავად შობადობაც ყოველწლიურად მცირდება. მაგალითად, დედოფლისწყაროში გასული წლის შობადობის მონაცემები 2010 წელთან შედარებით თითქმის განახევრებულია. რაც არის, მისი დიდი ნაწილიც არაქართველი მოსახლეობის წილზე მოდის. არავინაა წინააღმდეგი, საქართველოში მცხოვრები რომელიმე ერი გამრავლდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები!? გაზეთი „შირაქი“ სტატიაში „ერს მომავალი სჭირდება“, უკვე სწერდა, რომ დემოგრაფების გამოთვლით, ორშვილიანობის შემთხვევაში 30 წლის შემდეგ ყოველი 1000-დან 624 დარჩება, 90 წლის შემდეგ - 240, 150 წლის შემდეგ -92; ხოლო 300 წლის შემდეგ მხოლოდ 81. ეს ორშვილიანობის შემთხვევაში, მაგრამ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ჩვენს გარშემო ერთშვილიანობა უფრო მეტია, ვიდრე ორშვილიანობა, მით უმეტეს - მრავალშვილიანობა. პატრიარქის ინიციატივამ, მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლის თაობაზე, გარკვეული შედეგი გამოიღო; რწმენისკენ შემობრუნებულმა ახალგაზრდა ოჯახებმა იყოლიეს სამი და მეტი შვილი, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული ინიციატივა, მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მეოთხე და მეტი შვილის შემთხვევაში 2000 ლარის ერთჯერადი დახმარების შესახებ, თავისთავად, დადებითად იმუშავებს, მაგრამ მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართო სპექტრის პრობლემად უმუშევრობა და მისი თანმდევი დაბალი სოციალური ფონი რჩება, რადგან დაუსაქმებელ და უსახსრო ახალგაზრდებს უჭირთ, აიღონ პასუხისმგებლობა და ოჯახი შექმნან, ან ერთი-ორ შვილზე მეტი იყოლიონ. მას ევროპის, არცთუ სახარბიელო, მოდას აყოლილებიც ემატებიან, რომლებიც თვლიან, რომ ჯერ ყველაფერი უნდა მოითავო - სწავლა, კარიერა, დროსტარება და მერე, ცოტა გვიან შექმნა ოჯახი, ანდა, ოჯახი სულაც არ არის საჭირო, შეგიძლია, შვილი ქმრის გარეშეც, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშეც გააჩინო და გაზარდო. ეს, არა მარტო ქართულ ზნეობრივ და ქრისტიანულ მორალში არ ჯდება, არამედ საშიშროებას უქმნის სწორედ დემოგრაფიულ განვითარებას. გვიანშექნილ ოჯახებს, და არა მარტო მათ, ერთი, მეტად შემაშფოთებელი, პრობლემაც ემატებათ – ეს გახლავთ უშვილობა. თვალშისაცემია, რომ თითქმის ყოველი მეხუთე - მეექვსე წყვილი უშვილობის პრობლემას ებრძვის. ზოგი მკურნალობით, რომელიც კატასტროფულად ძვირია და ყველას არ მიუწვდება ხელი, აღწევს შედეგს, მაგრამ ბევრის მცდელობა უშედეგოდ მთავრდება. მედიკოსთა განცხადებით, დღეს უშვილობის პრობლემა თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული. თუ ასე ძვირადღირებულმა და დღეს-ხვალეობაში ამ კურსის და იმ კურსის მოლოდინში გახანგრძლივებულმა გინეკოლოგიურმა მკურნალობებმა შედეგი არ გამოიღო, უფრო ძვირადღირებული ხელოვნური განაყოფიერება და სუროგატი დედების მომსახურება სადღა "გაიქცევა". აქაც კვლავ ეკონომიკა ფიგურირებს; ხელოვნური განაყოფიერება 5-6 ათას ამერიკულ დოლარზე ნაკლები არ ჯდება, სუროგატი დედები 15-16 ათას დოლარს ზემოთ "აფასებენ" თავიანთ მომსახურებას. უშვილობა კი მხოლოდ შეძლებულთა საწუხარი როდია, ის ყველა სოციალურ ფენაშია ასე მომრავლებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში პირველი მცდელობის გარანტია მხოლოდ 30-35 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეორე ცდისას - 70 პროცენტს. ასპროცენტიანი გარანტია არც ერთ მცდელობას არ ახლავს. ამიტომ, თუ როგორმე ერთ მცდელობას მაინც გაბედავენ საშუალო დონეზე მცხოვრები წყვილები, მეორე და მესამე მცდელობისათვის შესაძლებლობები აღარ ჰყოფნით, რადგან არ არსებობს ფინანსური შეღავათები მეორე და შემდგომი მცდელობის შემთხვევაში. ეს ძალიან ართულებს მდგომარეობას. უმრავლესობა წყვეტს მკურნალობას და რჩება ერთი იმედით: "ღმერთს თუ უნდა, გვეყოლება".

მხოლოდ ამ იმედზე კი ერის მომავალი ვერ დარჩება. ვფიქრობთ, უშვილობის მკურნალობასთან დაკავშირებით სახელმწიფომაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. მინდა გითხრათ, რომ მსოფლიოს ძალიან ბევრ, განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში ხელოვნური განაყოფიერების და სუროგატი დედების მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო ასი პროცენტით ფარავს, ზოგან ეს წილობრივ ანაზღაურებას ექვემდებარება, ახლა, როცა საქართველოში ჯანდაცვის რეფორმა და სხვადასხვა სოციალური პროგრამები ხორციელდება, სასურველი იქნება, ამ კუთხითაც დაიგეგმოს სიახლეები. მართალია, სამედიცინო დაზღვევის პაკეტებში და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პოლისებში მარტივი გინეკოლოგიური გამოკვლევები ნაწილობრივ დაფინანსებულია, მაგრამ არსად, არცერთ პროგრამაში, უშვილობასთან დაკავშირებული პრობლემები გათვალისწინებული არ არის. არადა, ეს ძალიან სერიოზული საწუხარია დღევანდელ საქართველოში. იქნებ დადგა დრო, ამაზე ჯანდაცვის სამინისტრო სერიოზულად დაფიქრდეს და ახალი მინისტრის მრავალ პროგრესულ ნოვაციას ეს შტრიხიც დაემატოს!

აქვე აუცილებლად გვინდა შევეხოთ, აგრეთვე, უშვილობის შემთხვევაში შვილად აყვანის პროცესსაც. ბოლო ათწლეულებში საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებულმა მოვლენებმა, ომმა, ლტოლვილთა დიდმა ნაკადმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ საგრძნობლად გაზარდა ბავშვთა სახლებში ბენეფიციართა რაოდენობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შვილად აყვანის პროცესი ძალიან გართულებულია და პრაქტიკულად მისი განხორციელება ბევრ ბარიერთანაა დაკავშირებული. მაშინ, როცა მხოლოდ დედაქალაქში 4-5 ათასი შვილად აყვანის მსურველი ოჯახია და ორ-სამ წელიწადში რიგში ჩამდგარ ოჯახებს არცერთი შეთავაზება არ მიუღიათ, საფიქრებელია, რომ ეს საკითხიც პრობლემურია და შველას და სიახლეს საჭიროებს.

უშვილობა ხომ ის მძიმე ტვირთია, რომელსაც ოჯახები დანგრევამდე, სულიერ დეპრესიამდე და ტკივილამდე მიჰყავს. ამიტომ, მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, ამ ხალხს აუცილებლად სჭირდება დახმარება.

ნაირა გორაშვილი

# წარმატების ფორმულის საიდუმლოება

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ალბათ არაა ცნობილი, რომ სულ ახლახანს საქართველოს ქალთა ასოციაციის ინიციატივითა და ავტორობით გამოიცა ახალი წიგნი, სახელწოდებით ,,პროფესიაში გამორჩეულნი". წიგნი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები და მოღვაწე 100 ღირსეული და პროფესიაში წარმატებული ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს, მოგვითხრობს მათი, როგორც პროფესიული წარმატების, ასევე ოჯახური მდგომარეობასა და საკუთარ შეხედულებებზე ამა და იმ საკითხის ირგვლივ. წიგნი აერთიანებს და თავს უყრის ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც არიან ნუცა არდაშელია, დოდო ონიკაძე, თამარ ღაღანიძე, მარიკა ყანჩაველი, შორენა მამფორია, თამარ იობიძე და სხვები. ცხადია, ახალგამოცემული წიგნი საინტერესოა საკითხავად და მიმზიდველია, იმით, რომ მასში გარკვეულწილად წარმატების მიღწევის ამოცანა ამოვიცნოთ.ყველა ადამიანში ხომ მეტნაკლებად, მაგრამ მაინც დევს წარმატებისკენ სწრაფვის შინაგანი ,,პინ-კოდი."

ჩვენთვის, დედოფლისწყაროელებისთვის, ორმაგად საინტერესო და სასიხარულოა ,,პროფესიაში გამორჩეულნი"—ს დღის სინათლეზე გამოსვლა, რადგან მასში ჩვენი თანამემამულე სამი წარმატებული ქალბატონია შესული.ესენი გახლავთ: მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელი თამარ მათეშვილი, ჩვენი კოლეგა და გაზეთის რედაქტორი ნაირა გორაშვილი და ასევე ჩვენი კოლეგა, ამჟამად მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ანა ბენაშვილი.

წიგნი ,,პროფესიაში გამორჩეულნი" დასურათებულია და მასში შესული თითოეული პიროვნება,საკუთარი ავტოპორტრეტით, ოჯახური და სამსახურებრივი ფოტოებით წარმოგვიდგება. წიგნის თითოეული გმირი თავისი ისტორიის მოყოლას ბავშვობის წლებით იწყებს, შემდეგ საუბრობენ მშობლებზე, იხსენებენ უმაღლეს სასწავლებელში გატარებულ წლებს, ბოლოს კი, სამსახურებრივ წარმატებებზე მოგვითხრობენ, სადაც ცხოვრების ყველაზე მეტი დრო და თავდაუზოგავი შრომა გასწიეს, სწორედ ამ თავდაუზოგაობამ, პასუხისმგებლობამ და საქმისადმი სიყვარულმა მოუტანათ სახელი და საზოგადოებაში დაფასება.

ჩვენი საზოგადოებისთვის ალბათ საინტერესოა თავად ჩვენი რაიონის პროფესიაში წარმატებული ქალბატონების შესახებ წიგნში ასახული რეალობა. მართალია, წიგნში დაბეჭდილ სრულ ვერსიას მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვერ შემოგთავაზებთ, მაგრამ, გთავაზობთ ნაწყვეტებს წიგნში განთავსებული მათი ნაამბობიდან:

,,მე ღრმად მწამს, რომ ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ პირობებში უნდა იყოს აქტიური, უპირველესად უნდა უყვარდეს თავისი საქმე და მუდმივად ცდილობდეს აკეთოს ის პროფესიონალურად, ერთგულებით და პატიოსნად"- ეს სიტყვები ჩვენი ნარკვევის გმირს თამარ მათეშვილს ეკუთვნის, რომელიც თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით ცდილობს გაამართლოს ეს პოსტულატი და მას ეს შესანიშნავად გამოსდის. იგი ქ. დედოფლისწყაროში, ყოფილ წითელწყაროში დაიბადა უშანგი ოზაშვილისა და ნათელა ალუღიშვილის მეგობრულ ოჯახში, სადაც დედმამიშვილებს თამარსა და მარინას შრომისმოყვარეობას, მოყვასის სიყვარულს და ურთიერთპატივისცემას ასწავლიდნენ, 1978-1983 წლებში ქალბატონი თამარი სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის სპეციალობაზე ,,ფინანსები". ლექცია-სემინარებზე გულმოდგინედ ეუფლებოდა ცოდნას. მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში და ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე გახლდათ. 1983 წელს მუშაობა დაიწყო წითელწყაროს რაიონის საფინანსო განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად, მალე მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა სპეციალისტმა, რისთვისაც საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ გადაიყვანეს, შემდეგ გამგის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2007 წლის აპრილიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსად დააწინაურეს. საქმიანი თვისებებით, კომპეტენტურობითა და პროგრესული აზროვნებით თამარ მათეშვილმა სამართლიანად დაიმსახურა საზოგადოების კეთილგანწყობა და ნდობა. სწორედ ამის საფუძველზე იყო, რომ სამსახურებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის იგი




2011 წელს „ღირსების მედლით" დააჯილდოვეს", - ვკითხულობთ თამარ მათეშვილზე წიგნში ,,პროფესიაში გამორჩეულნი".

- ,,1971 წლის ივლისში მუშაობა დავიწყე გაზეთ ,,ახალი შირაქის" (შემდგომში ,,შირაქი") რედაქციაში ლიტმუშაკად.ათ წელზე მეტი ვიყავი მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე რაიონის სასამართლოში საზოგადოებრივ საწყისებზე.1986 წელს დავამთავრე თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. არასოდეს დამავიწყდება და მუდამ მეამაყება პროფესორ ნოდარ ტაბიძის მიერ სადიპლომო ნამუშევრის ფრიადზე შეფასებისას წარმოთქმული ფრაზა: ,,ყოჩაღ, ქიზიყელო, წერა-კითხვა გცოდნიაო." ოცი წელი ვიმუშავე ლიტმუშაკად და 1991 წლის დეკემბრიდან დავინიშნე გაზეთ „შირაქის" რედაქტორად. ბევრი სირთულე გადავლახეთ, გავუძელით უშუქობას, მძიმე ფინანსურ პირობებს, თუმცა გაზეთის ფუნქციონირება ერთი დღეც არ გაგვიჩერებია.გაზეთის 60 წლის იუბილეზე გავხდი ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიის ლაურეატი და ფედერაციასთან არსებული კლუბის ,,საფიხვნო" დარბაზის საბჭოს წევრი. 1987 წლიდან კი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი ვარ.ჟურნალისტთა ფედერაციის წარდგინებით დამაჯილდოვეს ,,ღირსების მედლით" ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროფესიული საქმიანობისთვის.2006 წელს მივიღე სიგელი ფოლკლორის მხარდაჭერისა და პრესაში აქტიური გაშუქებისთვის, იმავე წელს გავიმარჯვე ნომინაციაში ,,წლის საუკეთესო ჟურნალისტი",2007 წელს გავხდი ,,წლის საუკეთესო ხელმძღვანელი ქალი", ხოლო 2008 წელს ,,წლის მეცენატი",-გვიყვება წიგნში ,,პროფესიაში გამორჩეულნი - "ნაირა გორაშვილი. ,,- 2011 წლის ივლისში მას ჟურნალისტური საქმიანობის 40 წელი შეუსრულდა, ხოლო საერთო შრომითი მოღვაწეობის 50 წელი, მიუხედავად ასაკისა, ქალბატონი ნაირა კვლავ ენერგიით არის აღსავსე და ფეხს უწყობს თანამედროვე ცხოვრების რიტმს, რაზეც თავად გაზეთ ,,შირაქში" დაბეჭდილი მისი სტატიები მეტყველებენ,-წერენ წიგნის ავტორები ჩვენს კოლეგაზე.

-,,სტუდენტობის პერიოდში საკმაოდ აქტიური ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკუთარი ოჯახი მყავდა, მეორე კურსს ვხურავდი, რომ ვაჟიშვილი,ზურაბი,შემეძინა. მაინც მოვახერხე გამოცდების წარმატებით ჩაბარება და წელი არ დავკარგე, მინდოდა სრულფასოვანი განათლება მიმეღო, შევძელი კიდეც.ვიყავი აქტიური და შემოქმედებითი სტუდენტი. ჩვენს კურსს წარმატებული სწავლისთვის და აქტიურობისთვის მირზა გელოვანის სახელი მიანიჭეს. ვმონაწილეობდი სამეცნიერო კონფერენციებში, ვიყავი სტუდენტური დღეების წამყვანი-კონფერანსიე, ვმონაწილეობდი სპექტაკლებში, ფოლკლორულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დედოფლისწყაროში დავბრუნდი და რაიონულ გაზეთ,,შირაქის" რედაქციაში ლიტმუშაკად დავიწყე მუშაობა,რედაქციაში 29 წელი ვიმუშავე კორესპონდენტად, რადიორედაქტორად, ჩართული ვიყავი ეკოლოგიურ პროექტებში. როგორც ჟურნალისტი, ვმონაწილეობდი უსაიდ–ის პროექტში ,,წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში." გავხდი დაი-ს მიერ გამოცხადებული ჟურნალისტური კონკურსის ნომინანტი, მივიღე პირველი პრემია და შესაბამისი სერთიფიკატი. ვმონაწილეობდი პროექტში ,,ალაზნის აუზის ინტეგრირებული მართვა," და ერთდროულად გავხდი ორი საპილოტე პროექტის (საინფორმაციო კომპანია ,,ჯუმასყურე" და ,,ეკოლოგიური კამპანია სკოლაში".)ავტორი. ვარ ალაზნის სააუზო საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი." - მოგვითხრობს ანა ბენაშვილი წიგნში.

2006 წლიდან ქალბატონი ანა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი გახლავთ პრესასთან ურთიერთობის საკითხებში, 2007 წლის იანვრიდან დღემდე, იგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტად მუშაობს,"-გადმოგვცემენ წიგნში.

სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევძლებთ წიგნში ასახული სრული ვერსიით წარმოგიდგინოთ ჩვენი თანამემამულე სამი ქალბატონის ცხოვრება და მოღვაწეობა. მას, ვისაც სურს ვრცელი და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს პროფესიაში გამორჩეულების შესახებ, უნდა მოიძიოს აღნიშნული წიგნი და წაიკითხოს. დამერწმუნეთ, თქვენ საინტერესო გარემოში იმოგზაურებთ და მცირედით მაინც ჩამოყალიბდებით,თუ რაში მდგომარეობს წარმატების ფორმულის საიდუმლოება.

ლალი მეხრიშვილი

# წამალთა ტექნოლოგია ფართო ფენისათვის

წიგნისმოყვარულთა საზოგადოებას კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა - „საააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია". საააფთიაქო წამალთა ტექნოლოგიის ეს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე პირველად გამოდის. წიგნი დაწერილია საააფთიაქო წამალთა ტექნოლოგიის სასწავლო პროგრამის შესაბამისად უკანასკნელი თეორიული და პრაქტიკული მიღწევების, აგრეთვე ამ დარგში ავტორის გამოცდილების გათვალისწინებით. იგი შეიცავს მკვრივი, თხევადი, რბილი და საინიექციო წამალთა ფორმების კლასიფიკაციას შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული მხარეებით, რეცეპტებს, ცხრილებს, სურათებსა და დანართებს. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებსა და ფარმაცევტული სასწავლებლების მოსწავლეებს, საააფთიაქო ქსელისა და სხვა სამედიცინო დარგის მუშაკებს, აგრეთვე ხალხური მედიცინით დაინტერესებულ პირებს.

ახლა კი ორიოდე სიტყვით მის ავტორზეც:

წიგნის ავტორი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი ნაზი ლუდუშაური წარმოშობით დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედიდანაა. მან 1954 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე, იმავე წელს ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. 1962-67 წლებში მუშაობდა ზემო ქედის აფთიაქის მმართველად. 1967 წელს კი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1974 წელს თბილისში, ხოლო განმეორებით - 1977 წელს მოსკოვში. 1978 წლიდან მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტში დოცენტად.




თუმცა, ერთი შეხედვით წარმატებული ბიოგრაფიული მონაცემებისა და რეგალიების მიღმა საკმაოდ გულნატკენი და უიღბლო ადამიანი დგას. სკოლის პერიოდში მუდმივ ფრიადოსანს მეთერთმეტე კლასში ქართულისა და რუსული ენების წერით ნამუშევრებში დაუწერეს ნიშანი „4" და ნაწერები მედალზე წარსადგენად განათლების სამინისტროში საერთოდ არ გააგზავნეს. მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, ნაწერები მოგვიანებით მაინც გადაეცა განათლების სამინისტროს, სადაც ორივე ნაწერი „5"-ზე შეფასდა, მაგრამ რადგანაც ოქროს მედალოსანთა სია უკვე დახურული იყო, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ასეთივე ისტორია განმეორდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვისასაც. რადგან საზიარო ასპირანტი ორი უფროსის ორთაბრძოლის მსხვერპლი გახდა, მისი დისერტაციის განმეორებითი დაცვა მოსკოვში შედგა.

ავტორს ამ წიგნის გამოცემისთვისაც დიდი ბრძოლა გადახდა. უამრავი მიზეზის გამო, რომელთა შორის დომინანტი მაინც კათედრის თანამშრომელთა თანაავტორობის მოთხოვნა იყო, 1990 წლისთვის დაგეგმილი სახელმძღვანელოს გამოცემა მხოლოდ 2002 წელს მოხერხდა. 2011 წელს კი სახელმძღვანელო განმეორებით გამოიცა.

ქალბატონი ნაზის პირადი ცხოვრებაც არცთუ იღბლიანი აღმოჩნდა. ხუთი დედ-მამიშვილიდან მხოლოდ მან მიაღწია სრულწლოვანებას, თუმცა, საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა და დღეს სრულიად მარტოა.

***მოკლედ, რა უნდა ვუსურვოთ მის წიგნს? ალბათ, იღბალი, რომელიც მისი ცხოვრებისთვის ფუფუნება აღმოჩნდა.***

ინგა შიოლაშვილი

# ინფექციური დაავადებები

ჩუტყვავილა მწვავე ვირუსული ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს სუსტად გამოხატული ინტოქსიკაციით, ზომიერი ტემპერატურით, კანსა და ლორწოვანზე თანმიმდევრული, ტიპური წვრილი ლაქოვან-ბუშტუკოვანი გამონაყრით. პირველად, როგორც ცალკეული დაავადება, აღწერილი იყო იტალიელი ექიმების მიერ. **ეტიოლოგია:** თანამედროვე ტაქსონომიისა და კლასიფიკაციის მიხედვით ვირუსი დასახელებულია, როგორც ჩუტყვავილა-ზოსტერის ვირუსი იგი ადამიანის ჰერპეს ვირუსია. იგი კლასიფიცირებულია, როგორც ჰერპესვირუსი. მას აქვს მსგავსება იმ ჯგუფის ვირუსებთან, რომლებსაც მიეკუთვნება მარტივი ჰერპესვირუსი. პირველადი ინფექცია იწვევს ჩუტყვავილას სურათს, ხოლო ვირუსის ლატენტური არსებობა ზურგის ტვინის უკანა რქების განგლიებში და მისი რეაქტივაცია იწვევს სარტყლისებური ლიქენის სურათს (ზოსტერ ნფექციას). ეპიდემიოლოგია ინფექციის წყაროს წარმოადგენს ჩუტყვავილით ან ზოსტერით (ერთეულ შემთხვევაში) ავადმყოფი ადამიანი. ინფექცია გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი და კონტაქტური გზით. ახასიათებს მაღალი კონტაგიოზურობა; 90%-ში დაავადება გადააქვთ 10 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო მოსახლეობის 96% პრაქტიკულად იმუნურია ამ ინფექციის მიმართ. 2-3 თვის ასაკის ბავშვები იშვიათად ავადდებიან ჩუტყვავილათი დედისაგან მიღებული პასიური იმუნიტეტის არსებობის გამო, უკანასკნელის არ არსებობისას ნაყოფის დაინფიცირება ხდება ტრანსპლაცენტური ავადმყოფობის გამო. ჩუტყვავილას ახასიათებს სეზონურობა, უფრო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.ბავშვთა კოლექტივებში ხშირია ეპიდემიური აფეთქებები. გადატანილი ინფექცია ტოვებს მდგრად იმუნიტეტს. განმეორებით დაავადების ალბათობა არ აღემატება 2-3%-ს. ავადმყოფი, როგორც ინფექციის წყარო საშიშია გამოყრამდე 1-2 დღე-ღამით ადრე და 3-7 დღე მის შემდეგ. რეკონვალესცენტი პრაქტიკულად არაა საშიში უკანასკნელი გამონაყრის ფუფხის წარმოშობიდან. ნატურალური ყვავილისგან განსხვავებით ფუფხი არ შეიცავს ვირუსს. **პათოგენეზი:** ვირუსი ორგანიზმში იჭრება ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანიდან, სადაც ისინი პირველად მრავლდებიან და ლიმფური გზით გადადიან კანსა და ლორწოვან გარსებზე,შინაგან ორგანოებში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. პირველ რიგში, ვირუსი გამოირჩევა დერმატოტროპიზმით, შემდგომ კი ნერვული სისტემის დაზიანებით. ძირითადი მორფოლოგიური ცვლილებები გვაქვს კანსა და ლორწოვანზე. ბუშტუკოვანი ელემენტების ფორმირების დასაწყისს შეადგენს ეპიდერმისის წანაზარდოვანი შრის ეპითელიური უჯრედების დაზიანება. ეპითელიუმის ჰიპერპლაზიის შედეგად წარმოიშობა ბირთვშიდა და ციტოპლაზმაშიდა ოქსიფილური ჩანართები, რის შემდეგაც ხდება მათი ბალონური დისტროფია და ნეკროზი. ანთებადი კერის ადგილას ხდება ლიმფის დაგროვება, რაც წარმოქმნის ჩუტყვავილასთვის დამახასიათებელ ბუშტუკოვან გამონაყარს. ბუშტუკების ღრუ უმთავრესად ერთკამერიანია მის ირგვლივ ანთებადი რეაქციის გარეშე. პროცესის უკუგანვითარებისას ხდება ლიმფის შეწოვა, შეშრობა და ფუფხის წარმოქმნა. ფუფხის მოვარდნის შემდეგ ნაწიბურები არ ვითარდება და რჩება პიგმენტაცია 2-3 კვირის განმავლობაში. ლორწოვანზე ბუშტუკების გამონაყრის მექანიზმი კანზე გამოყრის ანალოგიურია, მხოლოდ პირის ღრუში ბუშტუკები ჩქარა მაცერირდებიან და წარმოშობენ ეროზიულ ან წყლულოვან ზედაპირებს მათ ირგვლივ ანთებადი რეაქციის გარეშე. დაზიანებული ადგილები გამონაყრიდან 5-7 დღეში განიცდიან სრულ ეპითელიზაციას.

გენერალიზებული ფორმებისას ადგილი აქვს ორგანიზმის სისტემურ დაზიანებას. ვეზიკულური გამონაყარი ეროზიებისა და წყლულების სახით აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, ტრაქეაზე, სასუნთქ და საშარდე ორგანოებში, ცნს-ში. შინაგან ორგანოებში ნახულობენ წვრილ ნეკროზებს სისხლჩაქცევით. ნერვული სისტემის დაზიანებისას ცვლილებები აღინიშნება თავის ტვინის ქერქზე, ქერქქვეშ და განსაკუთრებით, თხემის ქერქოვან ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩუტყვავილას გენერალიზებული ფორმების განვითარება იშვიათია და ძირითადად, მოსალოდნელია, დარღვეული იმუნური სისტემის მქონე ბავშვებში. **კლინიკა:** ინკუბაციური პერიოდი განისაზღვრება 10-21 დღით, საშუალოდ შეადგენს 14 დღეს. ხშირად პროდრომული პერიოდი არ არის ან სუსტადაა გამოხატული. ტემპერატურა ამ დროს ნორმალური ან სუბფებრილურია, გამონაყრამდე 1-2 დღე ადგილი აქვს უმნიშვნელო სისუსტეს. პროდრომულ პერიოდში ზოგიერთ ავადმყოფს შეიძლება, გამოეხატოს ქუნთრუშას ან წითელასმაგვარი გამონაყარი. დასაწყისში გამონაყარი გამოიყურება ლაქის ან პაპულას სახით, რომელიც ძალიან ჩქარა, რამოდენიმე საათში გადაიქცევა გამჭვირვალე, ოვალური ან მრგვალი ფორმის ბუშტუკად ერითემულ ფონზე. ბუშტუკების შიგთავსი პირველსავე დღეებში ხდება მღვრიე, ადვილად სკდება სითხის დაღვრით და იფარება ფუფხით. ჩვეულებრივ, გამონაყარი უხვია და გამოყრა გრძელდება 3-4 დღე. პირველად გამონაყარი ჩნდება ტანზე, შემდეგ სახეზე და თავის თმიან ადგილებში, კიდურების დისტალურ ნაწილებზე.ვეზიკულა ერთკამერიანია და ჩხვლეტის შემდეგ იჩუტება შიგთავსის დაღვრით. ვეზიკულები 1-2 დღეში ქრებიან და მათ ადგილას ჩნდება მუქი ფერის ბრტყელი ფუფხი, რისი მოცილების შემდეგაც ნაწიბურები არ ვითარდება. მათ ადგილას 2-3 თვის მანძილზე რჩება მუქი პიგმენტაცია, რომელიც თანდათან ფერმკრთალდება. ლორწოვან გარსებზე (პირის ღრუში, თვალის კონიუნქტივაზე, ხორხში – ამ შემთხვევაში ვითარდება კრუპის სინდრომი, სასქესო ორგანოებზე) გამონაყარი მალე განიცდის მაცერაციას ზედაპირული ეროზიებისა და წყლულების გაჩენით, რომლებიც 5-7 დღის შემდეგ სრულად ეპითელიზდება. გამოყრას აქვს ბიძგისებური ხასიათი 1-2 დღის ინტერვალით. ამ დროს სახეზეა როგორც ლაქოვან-პაპულური, ვეზიკულური, ასევე ფუფხიანი გამონაყარი, რაც მას „პოლიმორფულს" ხდის. მსუბუქი ფორმებისას გამონაყარი ერთეულია. ყოველი ახალი გამოყრა მიმდინარეობს ტემპერატურული რეაქციით. გამონაყრის მაქსიმალური გამოვლინებისას ბავშვები უჩივიან საერთო სისუსტეს, მადის დაქვეითებას, ძილის დარღვევას, კანის ქავილსა და ინტოქსიკაციისსხვა გამოვლინებებს. პერიფერიულ სისხლში არსებითი ცვლილებები არ აღინიშნება. ზოგჯერ შესაძლოა ლეიკოპენია, შედარებითი ლიმფოციტოზი.

ბოლო წლებში გამოიყენება ენზიმნიშანდებული იმუნოსორბენტული ანალიზი. დიფერენციული დიაგნოზი ტარდება მძიმედ მიმდინარე ჩუტყვავილასა და ნატურალური ყვავილის (თუმცა დაავადების საყოველთაო ვაქცინაციის შედეგად იგი აღარ გვხვდება მთელს მსოფლიოში) მსუბუქ ფორმებს შორის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩუტყვავილას პროდრომული პერიოდი მოკლეა და სუსტადაა გამოხატული, კანის დაზიანება ზერელეა, ბუშტუკები ერთკამერიანია, ჭიპისებური ჩაზნექვები იშვიათია. სახეზეა ბუშტუკების განვითარების ყველა სტადია და ბოლოს, ჩუტყვავილას ვირუსი მორფოლოგიურად მკვეთრად განსხვავდება ყვავილის ვირუსისაგან. იმპეტიგო ხასიათდება გამონაყრის უპირატესი ლოკალიზაციით სახესა და ხელებზე. ელემენტების შიგთავსი მოყვითალო-ჩირქოვანია და იკეთებენ სქელ ფუფხს. დისემინირებული მარტივი ჰერპესი გამოირჩევა ჯგუფური ბუშტუკოვანი გამონაყრითა და მასიური ქერქის წარმოშობით, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით. **ქუნთრუშასათვის დამახასიათებელია კარდინალური სიმპტომები:** ალისფერი ანგინა, ლიმფადენიტი, ცხვირ-ტუჩის ფერმკრთალი სამკუთხედი, ჟოლოსებრი ენა და სხვა. ჩუტყვავილას დროს წითელასებრი გამონაყრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეტაპური გამოყრა ჩუტყვავილასთვის არ არის დამახასიათებელი ისევე, როგორც ზემო სასუნთქი გზებისა და კონიუნქტივის კატარი. პროგნოზი : ტიპურ შემთხვევებში გამოსავალი კეთილსაიმედოა; გართულებებით მიმდინარეობისას გენერალიზებული, ჰემორაგიული, განგრენული) ლეტალობის პროცენტი დიდია. მკურნალობა: აუცილებელია ჰიგიენური პირობების დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ მეორადი ინფექციის დართვის საშიშროება. ყოველდღიურად საჭიროა ტანსაცმლისა და თეთრეულის გამოცვლა, აბაზანის მიღება ანტისეპტიკური ხსნარებით, პირის ღრუს გამოვლება ყოველი ჭამის შემდეგ. ქავილის დასაწყნარებლად ენიშნებათ სედაციური საშუალებები, პატარა ბავშვებს აცმევენ ხელთათმანებს, აჭრიან ფრჩხილებს. ბაქტერიული ინფექციის დართვისას ინიშნება ანტიბიოტიკები. მძიმე ინტოქსიკაციისას ხმარობენ სადეზინტოქსიკაციო ხსნარებს. ჰორმონებისაგან თავს იკავებენ, თუმცა ენცეფალიტის დროს ხმარობენ გარკვეული ეფექტით. ვეზიკულებს ადგილობრივად ამუშავებენ ბრილიანტის მწვანის 1% სპირტხსნარით ან 1-2%-იან კალიუმის პერმანგანატით. ანტივირუსული პრეპარატებიდან მძიმე შემთხვევაში იყენებენ ინტერფერონს, ციტოზარს,იმუნოგლობულინს. ეფექტური აღმოჩნდა აციკლოვირი, თუ იგი ინიშნება დაავადების პირველ 24 საათში. მისი გამოყენება ყოველთვის საჭირო და ეფექტური არ არის (პრეპარატი ძვირია, 24 საათში მისი დანიშვნა იშვიათად ხდება, თუ ბავშვს აქვს მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის ჩუტყვავილა, პრეპარატის დანიშვნა საჭირო არ არის). გენერალიზებული ინფექციის დროს (პნევმონია, ჰეპატიტი, თრომბოციტოპენია, ენცეფალიტი) აციკლოვირი ინტრავენური ფორმით 7 დღის მანძილზე მაინც იხმარება. აციკლოვირი იმუნიტეტის ჩამოყალიბებაზე არ მოქმედებს. პროფილაქტიკა: აქტიური პროფილაქტიკისთვის გამოიყენება ატენუირებული ცოცხალი ვაქცინა , რომელიც იწვევს ანტისხეულების წარმოქმნის კარგ ეფექტს და თავიდან გვაცილებს დაავადებას, თუ ვაქცინა შეყვანილია ავადმყოფთან კონტაქტამდე ან კონტაქტის შემდეგ მაშინვე. რეკომენდებული დოზაა 0,5 მლ კანქვეშ ან კუნთებში, ვაქცინაცია ტარდება 12 თვიდან. ვაქცინაციის ეფექტურობა 95%-ს შეადგენს. იმუნიტეტი 8-20 წელი გრძელდება. ვაქცინის შეყვანა ცალ-ცალკე შპრიცებით შეიძლება სხვა ვაქცინებთან ერთად. დონორებისაგან მიღებული სპეციფიკური იმუნოგლობულინი მოქმედებს, როგორც ჩუტყვავილას,ისე ზოსტერის ვირუსების წინააღმდეგ. პრეპარატის დოზირება განისაზღვრება 125 ერთეულით 10კგ მასაზე და ეფექტურია კონტაქტიდან არაუგვიანეს 72სთ-ისა. იმუნოგლობულინი კუნთებში შეჰყავთ 2-5 მლ რაოდენობით. პასიური იმუნიზაცია ნაჩვენებია ბავშვებში ნეოპლაზური დაავადებისას, იმუნოდეფიციტური მდგომარეობისას, ლეიკოზებისა და სხვა დაავადებების დროს,ახალშობილებში, რომელთა დედებს აღენიშნებოდათ დაავადება მშობიარობისას ან მშობიარობიდან 5 დღის განმავლობაში.იმუნოგლობულინპროფილაქტიკა შეიძლება იყოს რეკომენდებული ორსულებისათვის, რომელთაც არ გადაუტანიათ ჩუტყვავილა. ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია ტარდება ცალკე პალატებში, სადაც გათვალისწინებულია საჰაერო ვენტილაცია და ჰერმეტულობა ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

## მონატრება

### გიგა დათუკიშვილი



17 ივნისი შენი დაბადების დღეა. 23 წლის შესრულდებოდი, გიგა! 23 სანთელი იქნება შენი დაბადების დღის საჩუქარი შენს საყვარელ მარწყვის ტორტზე. ჩვენო სიკეთით, სიყვარულით და სილაღით სავსევ, მეოთხედ მოვიდა ეს დღე უშენოდ. რა ულმობელია ბედისწერა და რა საშინელია განაჩენი შვილების დამკარგავი მშობლებისათვის, რა ტკივილიანია შენი და-ძმის, ახლობლებისა და მეგობრებისათვის. ეს ის ტკივილია, რომელიც არასოდეს რჩება, არასოდეს შუშდება, და უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება შენს დაბადების დღეს, შენ რომ ასე გიყვარდა. მაგრამ მხოლოდ 19 წლისთავი არ გადაიხადე, ოცის რომ გავხდები, განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთო და აკი ასეც მოხდა... თუმცა ამ დღესაც ჩვენთან იყავი, მაგრამ ქვაში განსხეულებული და მარტო შენი ახლობლებისათვის კი არა, ორი სოფლის ტკივილად ქცეული....

დრო საოცარი სისწრაფით გადის, მაგრამ ვერ ანელებს უშენობის, შენი მონატრების ტკივილს. ახლაც ვდგავართ შენს საფლავთან გულდამძიმებულნი, ყველა, ვინც შენ გიყვარდა და არ გვასვენებს პასუხგაუცემელი კითხვა- ნუთუ ამ წუთისოფელში შენი ადგილი არ იყო?!

მაგრამ შეუვალია ნება უფლისა და ჩვენც ვლოცულობთ:

ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სპეტაკი სული.

....და მაინც - დღეს 17 ივნისია.

დაბადების დღეს გილოცავთ, გიგა!

თუ შენი სული დაფრინავს ცაში
ნეტავი ხვდება, რაც აქა ხდება?!
... ცაში ვარსკვლავი მოსწყდა ვარსკვლავებს
დედამიწაზე სანთელი ქრება .

შენი ოჯახი

## მონატრება

### ზურაბ ლურსმანაშვილი



18 ივნისს 39 წლის გახდებოდი, მაგრამ მხოლოდ 38 წელი გაიმეტა შენთვის ბედისწერამ, წმინდა სალოცავმაც არ დაგინდო. იმ ავბედით 18 სექტემბერს ელიის კალთებზე დაასრულე სიცოცხლე, შენ ხომ ძალიან კეთილი, ძალიან ალალი იყავი, ყველას უყვარდი. რატომ გაგიმეტა ასე სასტიკად ბედისწერამ, ნეტავ ცოცხალი მყოლოდი და ინვალიდის ეტლში ჩამჯდარიყავი, შენც მოგივლიდი, როგორც ჩვენს მახოს ვუვლი, ჩვენთან ხომ მაინც იქნებოდი, ჩემო სიცოცხლე, ძალიან გვენატრები ყველას. არ ვიცი, რა მოვახერხო, მახო (მალხაზი) შენ გკითხულობს, იმის ცოდვით მაინც გადაერჩინე და დაეფარე ელიას, გულს ცოტათი იმით ვიმშვიდებ, რომ წმინდა ადგილზე დალიე სული და სამოთხეში იქნები, დალოცე და დაიფარე შენი შვილები ყველა ხიფათისაგან, მეც ყოველთვის ვილოცებ შენი სულისათვის, რომ მუდამ ნათელში იყო.

შენი ოჯახი

---

უახლოესი მეზობლები: გუგული ალადაშვილი, თენგიზ და თემურ ჯალიაშვილები, თამაზ ჯანიაშვილი, ვასიკო და მერიკო საბიაშვილები, ნოდარ გოგლიძე, ნინა ყოჩიაშვილი, ილია სუხიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დალი და ოთარ ბუნტურებს

ლარბი ბუნტურის

გარდაცვალების გამო

---

გოდერძი აბულაშვილი, ეთერ ფიცხელაური ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნაილი კოსიაშვილს, ციალა და შალვა ჯამასპიშვილებს

რომან (რაიონა) კოსიაშვილის

გარდაცვალების გამო

---

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა იუწყება ყოფილი ბიბლიოთეკარის

თამარ მგელიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა ჯამასპიშვილს მეუღლის

ნუგზარ ტალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გოდერძი აბულაშვილი, ეთერ ფიცხელაური ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა ჯამასპიშვილს, ვასილ ჯამასპიშვილს და ნაილი კოსიაშვილს

ნუგზარ ტალიაშვილის

გარდაცვალების გამო

---

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს დალი ბუნტურს ძმის

ლარბის

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის

ჯემალ კირვალიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

# რამდენი ლიტრი წყალი უნდა დავლიოთ დღეში? - გამოთვალეთ საკუთარი წონის მიხედვით



სამწუხაროდ, შთანთქმული წყლის არასაკმარისი რაოდენობის გამო და პირიქით, ჩაისა და ყავის ჭარბი სმისაგან, ასევე, ოფისებში კონდიციონერის გამო გამომშრალი ჰაერისაგან ჩვენი კანი მუდამ გაუწყლოებულ მდგომარეობაშია. ამის გამოსასწორებლად ყველა ქალმა უნდა იზრუნოს. ეს ყველაზე ადვილი ზაფხულის თვეებშია.

წყალი ყველაზე საჭირო და აუცილებელი კომპონენტია ჩვენი უჯრედების მუშაობისთვის. კანი ყველაზე კარგად მაშინ გრძნობს თავს, როცა საკმარისადაა დატენიანებული. ტენი სახეს კვებავს, ამკვრივებს და აცოცხლებს.

### გაიხანგრძლივეთ სილამაზე

წყლის სმისაგან თავს ნუ შეიზღუდავთ. ამა თუ იმ დიეტაზე მყოფი ბევრი ადამიანი ცდილობს, ბევრი წყალი არ დალიოს. ფიქრობს, რომ წყალი ორგანიზმში გროვდება და წონას მოუმატებს.

პირიქით, წყალი მადას აქვეითებს, ცხიმებს აქუცმაცებს და მათ დალექვას ხელს უშლის. როცა ადამიანი წყურვილს გრძნობს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი ორგანიზმი მთლიანად არ ითვისებს წყალს და თუ მას ტენით არ აავსებ, ეცდება, წყლის ყოველი წვეთი შეაკავოს. შედეგია შეშუპებული ხელ-ფეხი.

თუ ორგანიზმი მთლიანად მიიღებს მისთვის საჭირო ტენს, ის ზედმეტი სითხის, მასთან ერთად, ტოქსინებისა და ნალექების გამოყოფას იწყებს. წყალი სისხლძარღვებსა და შინაგან ორგანოებს ასუფთავებს (მისი წყალობით კუნთები კარგ ტონუსს ინარჩუნებს), ტემპერატურას არეგულირებს და ნათელი გონების შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ჩვენს ორგანიზმს არ შეუძლია წყლის "მარაგში" გადანახვა და როცა ის შემოაკლდება, იწყება თავის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, დაღლა და უქეიფობა. საჭიროა მხოლოდ სუფთა წყლის დალევა და არა მისი წარმოებულების - სუპის, ჩაის, კომპოტის, ლიმონათის.

### მიირთვით ხილ-ბოსტნეული

მსოფლიოს წამყვანი დიეტოლოგები რეკომენდაციას იძლევიან, რომ 1 კგ წონაზე უნდა დალიოთ არანაკლებ 0,04 ლიტრი წყალი. სწორედ ეს დაგეხმარებათ ზედმეტი წონის დაგდებაში. გარდა ამისა, საჭიროა ჭამოთ ბევრი ხილი და ბოსტნეული, რომლებიც დიდი რაოდენობით წყალს შეიცავს. მიზანშეწონილია ოპტიმალურად 5-6 ულუფა დღეში (შეიძლება მეტიც, ისინი ხომ დაბალკალორიულია).

წყლის შემცველობის დონის მიხედვით, ხილი და ბოსტნეული ასეთი თანმიმდევრობით უნდა დაჯგუფდეს:

სალათა 96% წყალს შეიცავს.

ბოლოკი, ნიახური, პომიდორი - 94%-ს.

კომბოსტო, ბროკოლი, სტაფილო, წითელი ჭარხალი და ნესვი - 91%-ს.

მარწყვი - 90%-ს.

პაპაიას ნაყოფი, ფორთოხალი და არტიშოკი შესაბამისად - 89, 88 და 87%-ს.

ვაშლი, გარგარი, ატამი, მოცხარი - 84-დან 85%-მდე.

კივი - 83%-ს.

ბოსტნეული და ხილი (მაგალითად, საზამთრო) ძალიან მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით - კაროტინით, პოლიფენოლითა და ბიოფლავონოიდებით, რომლებიც აქტიურად ებრძვის კანის დაბერებას. ეს ნივთიერებები განსაკუთრებით საჭიროა ზაფხულში. ისინი კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან იცავს.

კანისათვის ძალიან სასარგებლოა ტენიანი ამინდი. ზაფხულსა და შემოდგომაზე ამის პრობლემა არ არის. როგორც კი გაწვიმდება, ქუჩაში გამოდით, ისეირნეთ და სახე სამკურნალო წვეთებს მიუშვირეთ. თუმცა უკანასკნელ წლებში წვიმის "სამკურნალო თვისება" ცუდი ეკოლოგიის გამო საეჭვო გახდა. ამიტომაც ქოლგით ისეირნეთ, ტენიანი ჰაერი მაინც დაგეხმარებათ.

ასევე, აუცილებელია სახის გაწმენდა ყინულის ნატეხით. შეგიძლიათ ბალახის ნაყენითაც დაამზადოთ. მაგალითად, ოხრახუშის, პიტნის ფოთლების ან ვარდის ფურცლების ნაყენი სპეციალურ ფორმებში გაყინეთ.

## ს ა ნ დ ა

9-10 ივნისს ქ.თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი სანდა-ში "ტატამის გლადიატორები", რომელშიც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიც მონაწილეობდა 8 სპორტსმენით. დედოფლისწყაროდან ამ ტურნირზე ჩემპიონები გახდნენ ნიკა ჩიტიშვილი (№1 საჯარო სკოლა) და ლევან წიკლაური (ხორნაბუჯის საჯარო სკოლა) ხოლო მეორე ადგილებზე გავიდნენ: ირაკლი ნატროშვილი (ხორნაბუჯის საჯარო სკოლა), გიორგი მარტყოფლიშვილი (№1 საჯარო სკოლა) და ლევან თეთრაული. ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ნიკა ლეკაშვილს, რომელმაც ერთი ბრძოლის მოგება შეძლო და ფეხის ტრამვის გამო ვეღა განაგრძო შეჯიბრებაში მონაწილეობა. ასევე აღსანიშნავია ნიკა ჩიტიშვილის გამოსვლა, რომელმაც 3 ბრძოლის მოგება შეძლო ერთ დღეში და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა, ასევე ლევან წიკლაურის ბრძოლა, რომელმაც ლამაზი ტექნიკური ბრძოლისთვის მსაჯთა მოწონება დაიმსახურა. მან ფინალურ ორთაბრძოლაში ქუთაისელ სპორტსმენს აშკარა უპირატესობით სძლია და ასევე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. აღსანიშნავია და ძალიან სასიხარულო, რომ დედოფლისწ-



ყაროელ სპორტსმენებს ლევან თეთრაულს, ლევან წიკლაურს და ნიკა ჩიტიშვილს 2012 წელს ყველაზე კარგი შედეგების ჩვენებისთვის გადაეცათ წლის საუკეთესო სპორტსმენების დიპლომები. ასეთი დიპლომები მთელს საქართველოში ყოველ წელს ათ სპორტსმენს გადაეცემა და ძალიან სასიხარულოა, რომ ათიდან სამი დედოფლისწყაროელი სპორტსმენი დასახელდა.ხოლო მათი მწვრთნელი გიორგი ცისკარაულიკი წლის საუკეთესო სანდა-ს მწვრთნელად დასახელდა და შესაბამისი დიპლომიც გადაეცა. შეჯიბრის ორგანიზატორი იყოსაქართველოს კუნგ-ფუ-ს ეროვნული ფედერაცია, საქართველოს უშუ-ს ეროვნულიფედერაცია და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია.სპორტსმენთა მგზავრობის და შეჯიბრებაზე მონაწილეობის ხარჯები მთლიანად დაფარა დედოფლისყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით მთელი ჩვენი გუნდის სახელით დეოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას, ასევე, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ბატონ ივანე შანშიაშვილს.

## ს ა მ ბ ო

ქალაქ ქარელში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც. 60 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ბაჩო ჭიკაიძემ (მწვრთნელი კახა წიკლაური).

## თავისუფალი ჭიდაობა

მცხეთაში ჩატარდა ოლიმპიური ჩემპიონის რომან რურუას სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის.

54 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა ფერდო გონაშვილი. მისი მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით გონაშვილია.

## ჯილდო მუსიკის პოპულარიზაციისთვის

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ **საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა ნანა ჭიჭინაძე.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა მანანა დოიჯაშვილმა მას სიგელი მრავალი წლის მანძილზე კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის გადასცა.

## ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

## რა ხდება ევერესტზე?



სამთო განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMOD) მიხედვით, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აწარმოებდა კვლევებს მსოფლიოს უმაღლეს მყინვარზე, ევერესტზე ავრცელებს ინფორმაციას, რომ მწვერვალის რეგიონში 10 მყინვარი შემცირებას განიცდის. მათი განცხადებით, ეს პროცესი უფრო და უფრო ინტენსიურ სახეს იძენს. გლაციოლოგისტების (მეცნიერება მყინვარების თვისების, განვითარებისა და მოქმედების შესახებ) ვარაუდით კი კლიმატური ცვლილებების გამო, ჰიმალაის მყინვარწვერები 2035 წლისთვის გაქრება, რაც სერიოზულ პრობლემას გამოიწვევს წყლის მარაგთან დაკავშირებით, რადგან აზიური მდინარეების წყალნაკადები 60-80 პროცენტს მყინვარების დნობის შემდეგ იძენს. სამთო განვითარების ცენტრის თქმით, ეს პროცესი გამოწვეულია კლიმატური ცვლილებების გამო.

## ამინდი დედოფლისწყარო

| შაბათი 16.06 | | კვირა 17.06 | | ორშაბათი 18.06 | | სამშაბათი 19.06 | | ოთხშაბათი 20.06 | | ხუთშაბათი 21.06 | | პარასკევი 22.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 27° | 16° | 25° | 17° | 21° | 18° | 22° | 20° | 23° | 20° | 25° | 22° | 25° | 22° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის" სტამბაში

რედაქციის მისამართი:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

C M Y K